



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტო**



KA020140088957022

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 937/ს

10 / აგვისტო / 2022 წ.

**ბრძანება სპს ლელვამე (ს/კ 219620890) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის
მოპოვების N 00676 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე**

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 ივნისის N 711/ს ბრძანების საფუძველზე, დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, სპს „ლელვამე“ (ს/კ 219620890) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 00676 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.

ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძველად დაედო სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2022 წლის 17 ივნისის N 1102 მოხსენებითი ბარათი - სპს „ლელვას“ ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კომპანიის რეგისტრირებულ მისამართ(ებ)ზე 2022 წლის 27 ივნისს გაგზავნილ იქნა N 22/4410 წერილობითი კორესპონდენცია, რომლის საფუძველზეც სპს „ლელვას“ ეცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 23 ივნისის N 711/ს ბრძანება და ეცნობა გეპირი სხდომის ჩანიშნვის თაობაზე. მხარეს მიეცა წინადადება, წარმოედგინა საკუთარი წერილობითი პოზიცია საკითხთან დაკავშირებით. გემოაღნიშნული კორესპონდენციის მიხედვით, გეპირი მოსმენის სხდომა ჩანიშნული იყო 2022 წლის 28 ივნისს. კორესპონდენცია ჩაბარდა სპს „ლელვას“ რეგისტრირებულ მისამართ(ებ)ზე, თუმცა, დაინტერესებული პირი გეპირი მოსმენის სხდომაზე არ გამოცხადებულა. ამასთან, კომპანიის მიერ არ წარმოდგენილა მოსაზრება ან ინფორმაცია.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ გამოკვლეულ იქნა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც შემდგომ მიეცა სამართლებრივი შეფასება. კერძოდ:

სპს „ლელვა“ (ს/კ 219620890) ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების #00676 ლიცენზიას ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლელვას მიმდებარე ტერიტორიაზე „ლელვა“-ს მინერალური წყლის მოპოვების მიზნით. 2019 წლის 20 ივნისს სპს „ლელვა“-ს მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #001686 ოქმი 2018 წლის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის წარმოდგენლობის და წერილის ჩაბარებიდან 2 თვის ვადაში მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოდგენის შესახებ სააგენტოს კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 23 ივლისის დადგენილებით სპს „ლელვა“ ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის პირველი ნაწილით და 84-ე მუხლის მე-4 ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

სასამართლო დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, #000215 ადმინისტრაციული მიწერილობით კომპანიას განესაზღვრა 10 კალენდარული დღის ვადა 2018 წლის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად. სპს „ლელვა“-ს მიერ ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული მოთხოვნა არ იქნა შესრულებული მიწერილობით განსაზღვრულ ვადაშიც, შესაბამისად, 2020 წლის 22 დეკემბერს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #002900 ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 16 თებერვლის დადგენილებით სპს „ლელვა“ ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36¹ მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით.

სასამართლო დადგენილებების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, #000385 ადმინისტრაციული მიწერილობით კომპანიას განესაზღვრა 10 კალენდარული დღის ვადა 2018 წლის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად. სპს „ლეღვა“-ს მიერ ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული მოთხოვნები კვლავ არ იქნა შესრულებული მიწერილობით განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად, 2021 წლის 03 აგვისტოს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N 003263 ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36¹ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. ტყიბულის მაგისტრატმა სასამართლომ 2021 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით სპს "ლეღვა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36¹ მუხლის მეორე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სპს "ლეღვა"-ს მიერ 2018 წლის 1 აპრილიდან 1 მაისამდე პერიოდში არ იქნა წარმოდგენილი 2017 წლის საანგარიშო პერიოდის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში, 2018 წლის 31 ივლისის შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #000525 ოქმი, 2018 წლის 31 აგვისტოს დადგენილებით დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, 2020 წლის 1 აპრილიდან 1 მაისამდე პერიოდში არ იქნა წარმოდგენილი 2019 წლის საანგარიშო პერიოდის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში, 2020 წლის 12 ივნისის შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #002443 ოქმი, 2020 წლის 24 ივლისის დადგენილებით დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. 2021 წლის 1 აპრილიდან 1 მაისამდე პერიოდში არ იქნა წარმოდგენილი 2020 წლის საანგარიშო პერიოდის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში, 2021 წლის 15 ივლისის შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #003254 ოქმი, 2021 წლის 06 აგვისტოს დადგენილებით დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. სპს "ლეღვა"-ს არც 2021 წლის საანგარიშო პერიოდის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში წარმოდგენია მიმდინარე წლის 1 აპრილიდან 1 მაისამდე პერიოდში.

დღეის მდგომარეობით, სასამართლო დადგენილებები შესულია კანონიერ ძალაში, ხოლო კომპანიას, დაკისრებული არაერთი პასუხისმგებლობის მიუხედავად, არ შეუსრულებია არცერთი სალიცენზიო პირობა.

გემოსხენებული ფაქტობრივი გარემოებებით, დასტურდება კომპანიის უმოქმედობა დარღვეული სალიცენზიო პირობების აღმოფხვრის კუთხით. ამკარაა, რომ ლიცენზიის მფლობელისთვის სალიცენზიო პირობის შესასრულებლად გონივრული ვადის განსაზღვრამ და კვლავ დაჯარიმებამ ვერ უზრუნველყო ვერანაირი შედეგის დადგომა. ადმინისტრაციული სახდელების დაკისრებისა და დამატებით განსაზღვრული ვადების მიუხედავად არ იქნა უზრუნველყოფილი სალიცენზიო პირობების შესრულება. შესაბამისად, სახეზეა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა და არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაუქმების საფუძველი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N 1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სპს „ლეღვა“-ზე (ს/კ 219620890) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 10 ივლისის 883 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 00676 ლიცენზია;
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემების დადგენილი წესით შეტანა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს დაინტერესებული მხარისთვის ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

